ხელშეკრულება №46

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ. ადიგენი 28 ნოემბერი, 2016 წ.

ერთის მხრივ ა.(ა).ი.პ. ,,ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება" (საიდენტიფიკაციო კოდი: 222729279, ანგარიშის GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22; მისამართი: დ.ადიგენი ა.ბალახაშვილის ქ. №19) წარმოდგენილი დირექტორის მარინე ვარდიძის სახით, შემდგომში ,,შემსყიდველი" და მიღებაზე პასუხისმგებელი პირები - საბავშვო ბაღების მენეჯერები, ხოლო მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ,,თორნიკე" (საიდენტიფიკაციო კოდი: 222726913, ანგარიშის №113167614565000, ბანკის კოდი: 220101466, მისამართი: დ.ადიგენი, თამარ მეფის ქ. №1) წარმოდგენილი დირექტორის – ლევან ქიმაძის სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი", გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა.ა.ი.პ. ,,ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების" 2016 წლის ბიუჯეტის თანხებიდან სოფელ ლელოვნის საბავშვო ბაღისათვის ბავშვების საწოლისთვის თეთრეულისა და სხვა აქსესუარების შესყიდვა.

კლასიფიკატორის კოდები: CPV-კოდები:

39500000 - ქსოვილის ნივთები

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია ა.ა.ი.პ. ,,ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების" 2016 წლის ბიუჯეტის თანხებიდან სოფელ ლელოვნის საბავშვო ბაღისათვის ბავშვების საწოლისთვის თეთრეულისა და სხვა აქსესუარების შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება არის *856 (რვაასორმოცდათექვსმეტი) ლარი და 00 თეთრი..*

4. შესასყიდი საქონლის ხარისხი

4.1. შესყიდული საქონლის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია მიაწოდოს ,,შემსყიდველს" საქონელი ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, მოთხოვნის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელოვნის საბავშვო ბაღში.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულების ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

7.1. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად, მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, 20 კალენდარული დღის ვადაში.

7.2. შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს მოთხოვნილი საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხელშეკრულების 7.2. პუნქტის შესაბამისად.

8.2. ,,შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხელშეკრულების 7.1. პუნქტის შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. მხარეები პასუხისმგებელი არიან ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი კანონით პასუხისმგებლობის შესაბამისად.

9.2. იმ შემთხვევაში თუ ,,მიმწოდებელი" ვერ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორი

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორის პირობებში.

10.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვ.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერიდან და გრძელდება 2017 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეებს შორის წამოჭრილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთ-მოლაპარაკების საშუალებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი სადავო საკითხს გადაწყვეტს სასამართლო.

13. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი"
ა.ა.ი.პ. „ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"
მის: დ.ადიგენი, ა.ბალახაშვილის ქუჩა №19; ს/კ: 222729279;
ანგარიშის GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22

დირექტორი: /მ. ვარდიძე/

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. „თორნიკე"
მის: დ.ადიგენი, თამარ მეფის ქ. №1
ს/კ: 222726913; ანგარიშის №113167614565000;
მომსახურე ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"; ბანკის კოდი: LBRTGE22

დირექტორი: /ლ. ქიმაძე/

დანართი N1

ფასების ცხრილი

შ.პ.ს. "თორნიკე"

N	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საქონლის ფასი (ლარი)
1	ლეიბი	ცალი	8	25	200
2	საბანი	ცალი	8	25	200
3	ბალიში	ცალი	8	7	56
4	თეთრეულის კომპლექტი	კომპლექტი	8	25	200
5	გადასაფარებელი	ცალი	8	25	200
ჯამი					856

დირექტორი: /ლ. ქიმაძე/